განმარტებითი ბარათი

„ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 ივნისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, ამ ნორმატიული აქტის მიღების საჭიროების დასაბუთება;

დადგენილებაში ცვლილებების შეტანა განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

-საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრებოდა 21 წევრით, ახალი რედაქციით კი დგინდება საბჭოს წევრთა მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა, რაც გაამარტივებს საბჭოს დაკომპლექტების პროცესს.

- საბჭოს შემადგენლობაში სავალდებულოდ იყო განსაზღვრული ყველა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ყოფნა, ახალი რედაქციით საკრებულოს წევრებს სურვილის შემთხვევაში განესაზღვრებათ საბჭოში ყოფნის შესაძლებლობა, ამასთან საბჭოს შემადგენლობას ემატება მუნიციპალიტეტში ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე პირის ყოფნის ვალდებულება. აღნიშნული საკითხიც ამარტივებს საბჭოს დაკომპლექტების პროცესს და მის მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის.

- საბჭოს თავმჯდომარედ განსაზღვრული იყო საკრებულოს თავმჯდომარე, ცვლილების პროექტით კი საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით საბჭოს შესაძლოა უხელმძღვანელოს საკრებულოს ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა. აღნიშნული აფართოებს საბჭოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა წრეს.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს ამ პროექტის მიღება;

განხორციელებული ცვლილებები დაკავშირებული არ არის ფინანსურ ხარჯებთან

გ) პროექტის ინიციატორი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: დავით შარაშიძე

დ) პროექტის ავტორი : სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარიტა მგალობლიშვილი.

ე) საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარიტა მგალობლიშვილი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: დავით შარაშიძე